



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კუჭავა ზურაბ ზურაბის ძე

კუჭავა ზურაბ ზურაბის ძე (დ. 01. 01. 1962, თბილისი), სპორტსმენი, (მთამსვლელი). საქართვ. სპორტის დამსახ. მოღვაწე (2013). დაამთავრა თსუ-ის გამოყენებითი მათემატიკისა და კიბერნეტიკის ფაკ-ტი (1984). მონაწილეობდა და შესრულებული აქვს მრავალი რთული ასვლა საქართვ. ნაკრებისა და დამოუკიდებელი ექსპედიციების შემადგენლობებში (1990-98): კომუნიზმის პიკი (7495 მ), ლენინის პიკი (7134 მ), ხან-თენგრი (6995 მ), მანასლუ (ჰიმალაი, 8163 მ). 1993 იყო საერთაშ. ალპ. ცენტრის „ტიან-შანის“ ინსტრუქტორი (ხელმძღვ. ვ. კომისაროვი). ასევე შესრულებული აქვს მრავალი ასვლა კავკასიონის მწვერვალებზე (მყინვარწვერი, უშბა, შხარა და სხვ.), მ. შ. პირველგავლები: ჭაუხი - ასათიანის სვეტით 6 (1995), შხარა მთავარი - უშგულის კედლის ცენტრით 6B (1996-იდან), მყინვარწვერი - ზამთრის ასვლა გველეშაპის კედლით 5A (2003).

კ. არის მთამსვლელობის სკოლის დამარსებელი და ხელმძღვანელი (1996), ასევე კ. ალპინისტური ასოციაციების საერთაშ. გაერთიანების (UIAA) ახალგაზრდული კომისიის საქართველოს წარმომადგენელი (2001-იდან). 2001-07 იყო საქართველოს მთამსვლელობისა და კლდეზე ცოცვის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, 2007-იდან კი არის ამავე ასოციაციის პრეზიდენტი.

შ. მირიანაშვილი